ხელშეკრულება 01/24
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

თბილისი **14 მარტი 2011 წელი**

ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის ზვიად ხიდიშელის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო“ (შემდგომში – მიმწოდებელი) მისი გენერალური დირექტორის ალექსანდრე ალბინის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით პრემიუმ ავანგარდის მარკის საავტომობილო საწვავის 3550 (სამიათას ხუთასორმოცდაათი) ლიტრის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ნომინალური ღირებულება ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის შეადგენს: 2.20 (ორი ლარი და 20 თეთრი) ლარს.
საწვავის ერთეულის (ლიტრის) ღირებულება გამოთვლილია შემდეგი ფორმულის მიხედვით: C=Rx(P+Z)x(100% + 18%)xD/1000 დანართის შესაბამისად.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 7810.00 (შვიდიათას რვაას ათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.3 საწვავის ფასი შეიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს და საწვავის შენახვის ხარჯს ავტოგასამართი სადგურებიდან მყიდველის მიერ საწვავის გატანამდე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, 2011 წლის 20 მარტამდე მიმწოდებლის მიერ სატალონე სისტემით.

4.2 ტალონები უნდა იყოს 10 და 20 ლიტრიანი კუპიურებით, რომელშიც აღნიშნულ უნდა იქნას საწვავის რაოდენობა და სახეობა.

4.3 შემსყიდველის (მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ განაცხადის გაკეთებიდან არაუმეტეს ორი დღის ვადაში მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს ან მის უფლებამოსილ პირს მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონებს ლიტრობრივ ერთეულებში. ტალონის გადაცემის შემდეგ, ტალონების დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი, გადადის შემსყიდველზე. ამასთან, ყოველი ტალონი უნდა იყოს დამოწმებული მიმწოდებლის მიერ და მასზე უნდა იყოს აღნიშნული:

- მიმწოდებლის დასახელება;
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;

- საწვავის რაოდენობა.

4.4 საწვავის გაცემა იწარმოებს „რომპეტროლ საქართველო“-ს სავაჭრო ნიშნით არსებულ ბენზინგასამართ სადგურებზე.

4.5 შემსყიდველზე გადაცემული საწვავის ტალონები მოქმედებს უვადოდ.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და/ან მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 მიღება-ჩაბარების ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი (პირადი №12001054335)

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის და/ან მიღება-ჩაბარების აქტით, გამოწერიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მიმწოდებლის ნებართვის გარეშე გადასცეს მესამე პირებს მიმწოდებლისაგან მიღებული ტალონები;
- მოითხოვოს იმ რაოდენობისა და ხარისხის საწვავი, რომელიც მიმწოდებლის მიერ გაცემულ ტალონში არის მითითებული.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს ტალონების მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან და განაცხადის გაკეთებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი ჩაითვლება გაუქმებულად.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- გააუქმოს განაცხადი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საწვავი;
- შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული ხარისხისა და რაოდენობის საქონლით;
- ტალონების გადაცემის პარალელურად, გამოწეროს და მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.3 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 აპრილამდე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი გარემოების დადგომისას, როგორიცაა: ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას. აღნიშნული გარემოებების არსებობის გამო მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებების გამოცხადება ხდება საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სხვადასხვა ნორმატიული ან საინფორმაციო არხების მეშვეობით) ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 48 საათის განმავლობაში (წერილობითი, ფაქსით ან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით)

11.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოებები განაგრძობენ არსებობას 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება.

11.4 მხარეები იღებენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის თაობაზე, ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1 სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222 ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900 საიდენტიფიკაციო № 205296650 ტელ. № 143278	შპს „რომპეტროლ საქართველო" ქ. თბილისი, სანაპაროს ქ. №1 ს/ს „საქართველოს ბანკი"-ს ე/ფ ბანკის კოდი № BAGAGE22 ანგარიშის № 119347600 საიდენტიფიკაციო № 204493002 ტელ. № 910727/910763
/ზვიად ხიდიშელი/ სამსახურის უფროსი	/ალექსანდრ ალბინი/ მენეჯერული დირექტორი

ევრო პრემიუმი 14.03

c=Rx(P+Z)x(100%+18%)xD/1000, სადაც

C= ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში)	2.20
R= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისთვის საჭართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი)	1.7134
P= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისთვის არსებული ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი მეტრული ტონის საერთაშორისო ფასი PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (italy) ბირჟის მონაცემებით (ცვლადი კომპონენტი)	992.58
Z= ტრანსპორტირებასთან ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი	470.75
18%=დღგ	18%
D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი	0.7645

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№ 09-2-21/2922 11 03 2011 წ.

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსს
ბატონ ზვიად ხიდიშელს

ბატონო ზვიად,

თქვენი 2011 წლის 9 მარტის №01/08-120 და №01/08-121 წერილების პასუხად, რომლებიც ეხება, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის მიერ 2011 წლის მარტის თვის ლიმიტის ფარგლებში საწვავისა და ქ. თბილისში, ალექსიძის №1 (სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურისათვის გამოყოფილი შენობის) მდებარე შენობის ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის მიზნით, გაზის მომარაგების საპროექტო დოკუმენტაციის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებართვას, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურმა განახორციელოს ზემოაღნიშნული შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადებს".

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,

გიორგი ჩახნაშვილი

მინისტრის მოადგილე

14.03.2011

ინტერესთა კონფლიქტი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის მიერ 2011 წლის 14 მარტს გაფორმებული N01/24 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებ ხელისმოწერით:

სამსახურის უფროსი - ზვიად ხიდიშელი

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე- გიორგი კილაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე -სიმონ ქიტიაშვილი

სამსახურის უფროსის მოადგილე-გელა გელაძე

საფინანსო სამმართველოს უფროსი-მაია ხუციშვილი

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი-მაია მაისურაძე

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი- ზურაბ მარკოზაშვილი